



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N2

ქ. მარნეული

13.01.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: -

ნაზი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ვანო ბურნაძე, კოტე ბოჭორძე, ნიკოლოზ გოგოჭური, ირაკლი ბურნაძე, რაფიკ მუსაევი, ვალი ისმაილოვი, აბიდ ოსმანოვი, რაგიმ ასკეროვი, რამიზ გულმამედოვი.

სხდომას არ ესწრებოდა: ამირან გიორგაძე, რიჩარდ გიგანი, გიორგი შუკაკიძე, ქამილ ალიევი.

სხდომას ესწრებოდა: მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით არომიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

დღის წესრიგის დამტკიცებამდე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭორძემ და სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ითხოვეს დღის წესრიგს დაემატოს ორი საკითხი, რის შემდეგაც სხდომის დღის წესრიგი განისაზღვრა სამი საკითხით:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ.

2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 09 იანვრის N22-03 მოხსენებითი განხილვის შესახებ.

3. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ერეკლე მეორეს ქ. N5“ -ზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის ფართისა და საზღვრების დადგენის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა დავით არომიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 12 იანვრის N03/351 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 09 იანვრის N22-03 მოხსენებითი ბარათი გინესის რეკორდსმენის ეთიბარ ელჩიევისათვის 1500 ლარის გამოყოფის შესახებ ქალაქ მარნეულში გასამართი ღონისძიების დასაფინანსებლად, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 13 იანვრის N03/367 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2017 წლის 13 იანვრის N65-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გააკეთა განმარტება იმის შესახებ, რომ აღნიშნული საკითხი რამდენჯერმე იქნა განხილული საკრებულოს სხდომაზე, მაგრამ რიგი უზუსტობების გამო არ მომხდარა მისი დამტკიცება. დღეის მდგომარეობით წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება დასამტკიცებელ ნახაზს და ითხოვა მხარდაჭერა, რათა დამტკიცდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ერეკლე მეორეს ქ. N5“ -ს ქალაქ მარნეულში, ერეკლე მეორეს ქუჩა N5-ში მრავალბინიან სახლზე მისაკუთვნილებელი მიწის ნაკვეთის ფართი და საზღვრები ი.მ. „თორნიკე ვგრისელაშვილი“-ს მიერ შესრულებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზზე მითითებული ფართისა და კოორდინატების შესაბამისად (მიწის ნაკვეთის ფართი - 766 კვ.მ. განაშენიანების ფართი შენობა - 01/2-400 კვ.მ, 02/1-23 კვ.მ, 03/1-23 კვ.მ, 04/1-15 კვ.მ, 05/1-14 კვ.მ), რასაც წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი ამოღებული იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2017 წლის მეორე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი